საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 670 2018 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

„ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქთმშენებლობის რეგულირების განსაკუთრებული რეჟიმის ამოქმედების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აგვისტოს №411 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქთმშენებლობის რეგულირების განსაკუთრებული რეჟიმის ამოქმედების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აგვისტოს №411 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05/08/2015, 330090000.10.003.018797) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების მე-7 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ეთხოვოს მცხეთის მუნიციპალიტეტს, 2019 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყოს ქ. მცხეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმების დამტკიცება.“.

2. დადგენილების მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. დადგენილება ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრამდე.“.

მუხლი 2. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, არა უგვიანეს 2019 წლის 1 მარტამდე, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან კონსულტაციებითა და შეთანხმებით, წარმოადგინონ „ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქთმშენებლობის რეგულირების განსაკუთრებული რეჟიმის ამოქმედების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აგვისტოს №411 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელშიც ასახული იქნება ამ დადგენილებით დაწესებული რეჟიმის შემსუბუქების მექანიზმები.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 30 დეკემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**